მტკიცების პრობლემები ოჯახური ძალადობის საქმეებში

ანზორი ანდღულაძე

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 0156, საქართველო

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ანზორი ანდღულაძის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: "მტკიცების პრობლემები ოჯახური ძალადობის საქმეებში" და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

(თარიღი)

(ავტორის ხელმოწერა)

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

რეზიუმე:

სამაგისტრო ნაშრომი დაკავშირებული ოჯახში ძალადობის საქმეებთან და მასთან დაკავშირებულ მტკიცების პრობლემებთან. საკითხი საკმაოდ დიდი აქტუალურობით სარგებლობს, რაც გამომდინარეობს 21-ე საუკუნეში არსებული სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით და თავად ოჯახში ძალადობის ბუნების გათვალისწინებით, მზარდი სტატისტიკის შესაბამისად.. ნაშრომის მიზანია გამოკვეთილი იქნას ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ თემასთან და შესთავაზოს მკითხველს მათი გადაჭრის რელევანტური გზები.

Resume:

Master's Thesis is related to the domestic violence and to the problem related to burden of proof. The topis is quite relevant, since there is a rising data of domestic violence which is mostly caused by various social and economic factors in the 21st century and by it's nature itself. The scope of this paper is to identify the main problems related to the topic and to offer the reader relevant ways and approaches to solve them.

სარჩევი

1. ოჯახური ძალადობის ცნება და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომები 4

1.1. ოჯახში ძალადობის შეფასება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად 8

1.2. სტამბოლის კონვენცია 11

1.3. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია 14

1.4. ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია 19

1.5. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი 21

2. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული პრობლემები 22

2.1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 24

2.2 მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი ოჯახში ძალადობის საქმეებზე 28

2.2.1. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა 29

3. მტკიცების პრობლემების მიმოხილვა უცხოური ლიტერატურის მიხედვით 34

4. ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართების მტკიცების პრობლემების მიმოხივლა სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად 39

დასკვნა 45

ბიბლიოგრაფია 49

შესავალი

სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიგებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებულია ოჯახში ძალადობასთან. შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ XXI საუკუნეში არსებული სოციალური მსოფლმხედველობა გამოირჩევა განსაკუთრებული ჰუმანურობითა და ლიბერალური მიდგომებით, რაც, ლოგიკურია, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებითაც წესრიგდება. ის დეტალები და შინაარსობრივი მოცემულობანი, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობასთან, მოექცა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში, ერთი მხრივ, იმ პირთა მხრიდან, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს აღნიშნულ დანაშაულებრივ სფეროსთან მიმართებით, და მეორე მხრივ, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოებებისგან, რომლებიც აქტიურად აკვირდებიან სხვადასხვა სტატისტიკურ,[1] სოციალურ, [2]ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოცემულობას და აღნიშნულის შესაბამისად ახორციელებენ შესაბამისი დასკვნებისა და მითითებების მომზადებას. [3]

---

[1] ოჯახში ძალადობის სტატისტიკა 2013-2018 წლები, IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, https://idfi.ge/ge/domestic_violence_statistics_in_georgia (2.5.2021).

[2] ოჯახში ძალადობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, http://phf.org.ge/ka/recommendations/ojaxshi-dzaladoba-/ (4.5.2021).

[3] ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომლის თანახმად, საზოგადოების სხვადასხვა სექტორში ჰუმანური მიდგომების დამკვიდრებას, მის განვითარებასა და ხელშეწყობას, დამოუკიდებელი მიზიზების გათვალისწინებით სდევს ის სოციალური ფაქტორები, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომსა და სტატისტიკურ მონაცემებში. აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად იქნება განხილული ნაშრომის შესაბამის ნაწილებში და განმარტებული იქნება ის მიზეზები, რის გამოც შესაძლებელია ესა თუ ის ზოგადი, თუ კონკრეტული ფაქტი მიჩნეული იქნას სხვადასხვა სიტუაციაში ოჯახური ძალადობის მიზეზად.

თემის აქტუალურობას განაპირობებს თავად დანაშაულის სპეციფიკა, რომელიც ისეთ პირებს შორის ვითარდება, რომელთაც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ნათესაური კავშირი. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა სამართლებრივ ლიტერატურაში არგუმენტაციისა და მაგალითების სახით ხშირად გამოყენებულია სხვადასხვა ფსიქოლოგის განმარტებები. უმთავრესად, აღნიშნულთან დაკავშირებით, ფსიქოლოგიურ შეფასებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რადგანაც დანაშაულის სპეფიციკის გათვალისწინებით სწორედ მეცნიერების აღნიშნული დარგი იძლევა შესაძლებლობას, განმარტოს თუ რა იყო ძალადობის გამომწვევი ფაქტი, რა გარემოება იყო ამ ფაქტის შესაძლო განმსაზღვრელი და მრავალი სხვა.

თემის სამართლებრივი შინაარსის ანალიზის პროცესში გონივრულია გამოყენებული იქნას კვლევის სხვადასხვა მეთოდი, რომელიც

%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq (4.5.2021).

მკითხველისთვის მეტად ცხადად წარმოადგენს იმ სხვადასხვა ასპექტს, რომელიც დაკავშირებულია, ოჯახური ძალადობის საქმეებთან და აგრეთვე იმ მტკიცების პრობლემებთან, რომელსაც უმთავრესი პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია.

საკვლევ მეთოდთა შორის აღსანიშნავია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებით და მტკიცების პრობლემებთან მიმართებით შესაძლებლობას მოგვცემს განხილული იქნას, განვითარებულ ქვეყნებში არსებული მიდგომები და სტრატეგიები, რომელიც დღეს აქტუალურად გამოიყენება ოჯახური ძალადობის საქმეებთან მიმართებით. გარდა ამისა, შესაძლებელია ანალიზი დაკავშირებული იყოს განვლილ პერიოდთან, რომლის შესაბამისად, სხვადასხვა მაგალითი და მიდგომა, რომელიც არსებობდა სხვადასხვა ქვეყანაში შესაძლებლობას იძლევა შინაარსობრივი კვლევის შედეგად გამოტანილი იქნას დასკვნები. აღნიშნულ დასკვნების შესაბამისად შესაძლებელი იქნება განსაზღვრული იქნას, ის შესაძლო ხარვეზები, რომლებიც დღეს საქართველოში არსებულ კანონმდებლობას გააჩნია განსახილველ თემასთან მიმართებით. ასევე, შესაძლებელი იქნება შემოთავაზებული იქნას ის გადაჭრის გზები და მიდგომები, რომლებიც სხვა ქვეყნებში მსგავს სიტუაციებთან მიმართებით რამდენიმე წელია დანერგილია და აქტიურად გამოიყენება.

გარდა შედარებით-სამართლებრივი კვლევისა, ასევე განხილული იქნება საქართველოში არსებული მიდგომები და ოჯახური ძალადობის საქმეებთან მიმართებით გამოყენებადი ნორმების სამართლებრივი ფარგლები და მათი შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან და

იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, პაქტებთან თუ შეთანხმებებთან, რომლებიც არეგულირებს აღნიშნულთან მსგავს ან იდენტურ საკითხებს.

ასევე, რელევანტურია მიმოხილული იქნას ის პრაქტიკაში არსებული საქმეები, რომლებიც ოჯახური ძალადობის საქმეებთან მიმართებით მნიშვნელოვან პრაქტიკას და მიდგომებს ანვითარებს, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ ქვეყნებში.

1. ოჯახური ძალადობის ცნება და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომები

ოჯახური ძალადობის დანაშაულს საკმაოდ ვრცელი მოცემულობა აქვს და მისი შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მუხლების შეფასების მეშვეობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის პრიმა ნაწილით განსაზღვრულია ისეთი ტიპის დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც კონკრეტულად შეიძლება იქნეს განხორციელებული კონკრეუტლ პირთა წრის მიმართ.[4]

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე[5] პრიმა მუხლის შინაარსი, რომლის დაცვის

[4] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი.
[5] იქვ. 126[1].

ობიექტსაც წარმოადგენს ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, მათი უფლება იცხოვრონ მშვიდ გარემოში, ასევე პატივი და ღირსება. საორიენტაციო მუხლის დაცვის ობიექტის საკმაოდ ვრცელი შინაარსის მატარებელია, იმის გათვალისწინებით, რომ ის უკავშირდება ისეთ მოცემულობებს, რომელთა განმარტება სუბიექტური ელემენტის მატარებელია და თითოეული შემთხვევის შეფასების პროცესში ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. შესაძლებელია ერთი ადამიანისათვის განსხვავებული ფორმით იქნას წარმოდგენილი მშვიდ გარემოში ცხოვრების მოცემულობა და მეორე ადამიანისათვის ის განსხვავებულად იქნას აღქმული. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის ზოგადი ჩარჩოები, რომელსაც აღნიშნული მუხლის შინაარსი ემსახურება. რადგანაც აღნიშნულია, რომ საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა იქნას ჩამოყალიბებული, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ამ შეფასების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს და იმ კონკრეტულად იმ მოსამართლეს, რომელიც მას განიხილავს.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ოჯახში არსებული სოციალური გარემო, დანაშაულის ფორმა და სიმძიმე, ასევე ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მანამდე მსგავს საქმეებთან დაკავშირებით უკვე იქნა გამოცემული. ბუნებრივია, სასამართლო არ არის ამ შემთხვევაში არც იმ ფაქტისგან შეზღუდული, იხელმძღვანელოს საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული იმ მიდგომებით და მიმართულებებით, რომელიც საქართველოს მიერ იქნა აღიარებული მათი რატიფიკაციის სახით.

საყურადღებოა აგრეთვე, გათვალისწინებული იქნას ის კონკრეტული ჩამონათვალი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 მუხლით არის ოჯახის წევრებთან მიმართებით გაკეთებული. კავშირი არ ითვალისწინებს მხოლოდ სისხლით ნათესაურ კავშირში მყოფ პირთა წრეს და ის ითვალისწნებს, მეუღლეს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს, შვილს, გერს, მინდობით აღსაზრდელს, დედას, მამას, პაპას, ბებიას, დედინაცვალს, მამინაცვალს, შვილიშვილს, დას, ძმას, მეუღლის მშობელს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელს, შვილის მეუღლეს, ყოფილ მეუღლეს, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს, მეურვეს, მხარდამჭერს, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს, მხარდაჭერის მიმღებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურვეობას. ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და მისაღებია იმ ლოგიკის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ამ პირს შესაძლებელია ჰქონდეს ისეთი სოციალური სტატუსი, რომელიც სოციუმის მიერ შეიძლება მიჩნეული იქნეს ოჯახის წევრად ან იმ პირად, რომელიც ოჯახის წევრთან გათანაბრებულად მიიჩნევა სხვადასხვა ლიტიერატურის შესაბამისად.

შესაძლებელია ზოგიერთ თეორეტიკოსს ჰქონდეს განსხვავებული დამოკიდებულება და მიდგომა იმ ფაქტთან მიმართებით, თუ რომელი პირები უნდა იყვნენ ოჯახის შემადგენლობაში გათვალისწინებულნი, თუმცა არსებული პრაქტიკისა და მიდგომის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 მუხლი ობიექტურად განსაზღვრავს პირთა წრეს.

თავად ოჯახში ძალადობის დეფინიციის განმარტება წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლის შესაბამისად,

რომლის მიხედვით „ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ან ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების ვადის აღკვეთით ორ წლამდე.

ბუნებრივია, თითოეული მუხლით განსაზღვრულ სასჯელის საზესა და ზომას თავისი განსაზღვრის საფუძველი აქვს და თავისი განმაპირობებლი მიზეზი, რის გამოც კანონმდებელმა ამგვარად განსაზღვრა. თემის ფართო ანალიზის შედეგად, აღნიშნული საკითხი მეტად ცხადად იქნება წარმოდგენილი და აღქმული.

სისხლის სამართლის 126[1] მუხლით განსაზღვრული დანაშაულის ჩამდენ პირად მიჩნეულია არა საერთო სუბიექტი, არამედ მხოლოდ ოჯახის ბრალუნარიანი წევრი, რომელიც პასუხისმგებლობის ასაკს არის მიღწეული[6]. თავად მსხვერპლიც მსგავსად დანაშაულის ამსრულებლისა აუცილებლად უნდა იყოს ოჯახის წევრი და არა რომელიმე სხვა პირი, რადგან მაშინ დანაშაული დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე ან 126-ე მუხლების შესაბამისად.[7]

---

[6] ლეკვეიშვილი მზია, თოდუა ნანა და გოჩა მამულაშვილი 2014, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 143.
[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

1.1. ოჯახში ძალადობის შეფასება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს გააჩნია ობიექტური მხარე, რომლის მოცემულობა განმარტებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მასში მოიაზრება რამდენიმე კომპონენტი.

ა) მოქმედება, რომელსაც გააჩნია სისტემატიური ხასიათი და გამოხატულია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ შეურაცხყოფის, შანტაჟის ან დამცირების სახით;

ბ) აღნიშნულ მოქმედებებს გააჩნია მართლსაწინააღმდეგო შედეგი: ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. თუმცა საჭიროა, რომ მას არ მოჰყვეს შედეგად სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი;[8]

გ) არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის;

აღნიშნული მოქმედებები საგულისხმოა, რომ ზღუდავს ან აყენებს პირის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან მორალურ ზიანს, რომელიც, რა თქმა უნდა, ამ კოდექსითა და სხვა ნორმატიული მასალითაც მიჩნეულია დაცულ სიკეთედ.

ძალადობის მოცემულობაში შესაძლებელია მოიაზრებოდეს ისეთი მოქმედებეი, რომელიც შეიძლება შეფასდეს ცემად, ან მასთან გათანაბრებულ მოქმედებად, რომელსაც ამავდროულად შესაძლოა გააჩნდეს სისტემატიური ხასიათი. მაგრამ ამასთან აუცილებელია, რომ ის

[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლები.

არ იწვევდეს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომელიც სხეულის მსუბუქ დაზიანებად ჰპოვებს გამოხატულებას.

რაც შეეხება სისტემატურ შეურაცხყოფას, მასში მოიაზრება ისთი მოქმედება, რომელიც ამცირებს ოჯახის წევრის პატივსა და ღირსებას პირდაპირი განზრახვის მიხედვით. დამოუკიდებლად ოჯახში არსებული სიტუაციისა, საყურადღებოა, რომ აღნიშნული მოქმედება არ არის დასაჯადი, თუმცა კონკრეტულად ოჯახში თუ განხორციელდება მსგავსი მოქმედება მაშინ ის უკვე თავისი მოცემულობით შეიძლება მიჩნეული იქნას კანონით დასჯად მოქმედებად.

სამართლებრივ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით განმარტებას იმის შესახებ თუ რა უნდა მოიაზრებოდეს სისტემატიურ შეურაცხყოფაში. მისი განსაზღვრისათვის საჭიროა არსებობდეს განმეორებადობის ელემენტი და თუ ერთი ოჯახის წევრი მეორე მიმართ გარკვეული ინტერვალის გათვალისწინებით მინიმუმ სამჯერ განახორციელებს მსგავს, კანონით გათვალისწინებულ მოქმედებას, მაშინ შესაძლებელი იქნება ითქვას, რომ აღნიშნული ატარებს სისტემატიურ ხასიათს.

შანტაჟთან მიმართებით, იგულისხმება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეს მიმართ მუქარა, რომელიც შეიძლება გამოხატული იქნას მოქმედების განხორციელების მოთხოვნაში, რომლის განუხორციელებლობაც გამოიწვევს უკანასკნელთან მიმართებით გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროებას ან სხვა ფორმით გავრცელებას, რომლის შემთხვევაშიც მნიშვნელობა არ ენიჭება პრაქტიკული თვალსაზრისით შეესაბამება თუ არა აღნიშნული სინამდვილეს. მოქმედების განუხორციელებლობის

შემთხვევაში მუქარა, შანტაჟი შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი მოქმედებებით იყოს გამოწვეული და ნებისმიერ შემთხვევაში თავისი შინაარსით, ის ოჯახის წევრის მიმართ არასასურველი შედეგისკენ არის მიმართული.

საყურადღებოა აგრეთვე დამცირებასთან დაკავშირებული საკითხის შეფასება და განსაზღვრა, რადგან თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ის გარკვეულწილად ჰგავს შეურაცხყოფის ელემენტს, თუმცა ამ შემთხვევაში თუ შეურაცხყოფა არ ატარებს უწესო ფორმას და ამ ფორმით დამცირებას, მეორე შემთხვევაში ის მეტად არასურველი და მეტად ფსიქოლოგიურად მძიმე ზიანის მომყენებლი შეიძლება იყოს. რაც შეეხება აღნიშნულთან დაკავშირებით სისტემატიურობის ელემენტის გათვალისწინებას, კანონი არ განსაზღვრავს მისი არსებობის სისტემატიურობის აუცილებლობას, თუმცა ამავდროულად ერთჯერადად აღნიშნულის განხორციელება არ უნდა იქნას მიჩნეული ოჯახში ძალადობად, რომელიც შეიძლება გადაწყდეს შემდგომში სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება განსახილველი მუხლის სუბიექტურ მხარეს, ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია დანაშაულის მოტივსა და მიზანთან დაკავშირებით, რომელიც არ მიიჩნევა კვალიფიკაციის განმსაზღვრელ მოცემულობად, თუმცა პრაქტიკაში, ხშირად გამოიხატება აღნიშნული მოქმედება ეჭვიანობის, სიძულვილის, შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის ან დამორჩილების მიზნით.

რაც შეეხება კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ბრალის ფორმას უკავშირდება, უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ მისი

განხორციელება შესაძლებელია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.

არსებული მოცემულობა და ქართულ-სამართლებრივი განმარტება შესაძლებელია ითქვას, რომ საკმაოდ ობიექტურად აფასებს იმ მიდგომას, რომელიც შეიძლება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით იყოს განვითარებული. მნიშვნელოვანია ამავდროულად, რომ აღნიშნული მუხლის შესაბამისად ბრალის წარდგინების მომენტში დაზარალებული მხარის წარმომადგენელმა სიზუსტითა და განსაკუთრებული დაკვირვებით მოახდინოს იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც შეიძლება აღნიშნული მუხლის შესაბამისად სასამართლოს მიერ მნიშვნელოვნად იქნას მიჩნეული. დეტალურად აღნიშნული საკითხი განხილული იქნება ნაშრომის შემდგომ ეტაპებზე.

1.2. სტამბოლის კონვენცია[9]

ოჯახში ძალადობასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ის საერთაშორისო კანონმდებლობა, რომელიც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ოჯახში არსებულ ძალადობას, მის შედეგად წარმოშობილ შედეგებს და მათთან გამკლავების გზებს.

აღნიშნულთაგან საყურადღებოა ქლათა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც შესრულებულია სტამბოლში, 2011 წლის 11 მაისს.

[9] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესაახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია.

სტამბოლის კონვენციის პრეამბულა პირდაპირ განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებას, რის გამოც მისი შედგენა პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული.

ხელმომწერი ქვეყნები გმობენ ოჯახში ძალადობის ყველა ფორმას, აღიარებენ, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის de jure და de facto თანასწორუფლებიანობის დაცვა და უზრუნველყოფა წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს და აღნიშნულის შესაბამისად ამტკიცებენ იმ ნორმატიულ მოცემულობას, რომელიც შემდგომში არის ჩამოყალიბებული. ის მიმართულია ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ და ამავდროულად ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისკენ და დახმარებისკენ. კონვენცია ამავდროულად მის ხელმომწერ ქვეყნებს მოუწოდებენ ხელი შეუწყონ და განავითარონ ისეთი მიდგომები, რომლებიც მიმართული იქნება ოჯახის წევრების დაცვისკენ და ძალადობის თავიდან აცილებისკენ.

ოჯახის ძალადობის „სტამბოლის კონვენციის“ შესაბამისად განმარტებულია მე-3 მულხის „ბ“ პუნქტის შესაბამისად[10] და ის გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ კონვენციის შემდგენ პირებს კარგად აქვთ გააზრებული ის უზარმაზარი სირთულე, რომელიც

[10] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესაახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია, მუხლი 3.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრას უკავშირდება და ის მე-7 მუხლის შესაბამისად[11] მიუთითებს იმ კომპლექსურ და კოორდინირებულ პოლიტიკაზე, რომლის გატარებაც აუცილებელია შესაბამისი ორგანოების მიერ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

გათვალისწინებულია, როგორც ის საკანონმდებლო მიდგომები, რომელიც აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რელევანტურად უნდა იქნას მიჩნეული და ამავდორულად, საყურადღებოდ მიიჩნევა საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომ მას რეალური, ეფექტური და ქმედითი შედეგები ჰქონდეს. კოორდინირებული პოლიტიკა მიიჩნევა პრიორიტეტად და მისი განხორციელების მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოხატული შეიძლება იყოს იმ ეტაპზე, როდესაც საკითხი დაკავშირებული იქნება მტკიცების საკითხთან მიმართებით. საკითხის ზოგადი შეფასება და ანალიზი მიმართულია სწორედ მტკიცების პრობლემების ფორმულირებისკენ, რათა თანმიმდევრულად იქნას გაანალიზებული ყველა ის თეორიული წვრილმანი დეტალი, რომელიც მას შეიძლება უკავშირდებოდეს.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, გარდა კომპლექსური პოლიტიკის გატარებისა ითვალისწინებს საკითხის გადაწყვეტის ფინანსური ელემენტს, რომლის მიხედვით, მისი ხელმომწერი პირები კისრულობენ ვალდებულებას, გამოყონ ფინანსური და ადამიანური რესურსი, რომელიც მოემსახურება სხვადასხვა პროგრამებისა და ზომების გატარებას და მიმართული იქნება კონვენციით განსაზღვრული

[11] იქვ. მუხლი 7.

მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისკენ.

1.3. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია[12]

საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 22 სექტემბერს #561-ე დადგენილების შსაბამისად რატიფიცირებული იქნა კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც წარმოადგენს 1981 წლის 3 სექტემბერს ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებას და რომელიც მიიჩნევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მდგომარეობის კომიისიის 30 წლიანზე მეტი ხნის მუშაობის დასკვნით გამოხატულებას.

აღნიშნული კონვენცია თავისი შინაარსით ითვალისწინებს და ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებათა სფეროს, რომელიც მიმართულია განამტკიცოს რწმენა ძირითადი უფლებებისადმი, მიმართულია ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობების დაცვისკენ და დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ.

კონვენციის შინაარსსზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის აღნიშნვნა, რომ ხშირ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ძალადობას, ის

[12] ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფრომის აღმოფხვრის კონვენცია, 1979 წლის 18 ოქტომბერი.

მიმართულია ქალის მიმართ და შესაბამისად მეტი დაცვის გარანტია უნდა არსებობდეს, რათა ქალის უფლებები თავისი მოცემულობით მაქსიმალურად იყოს დაცული და გარანტირებული. ბუნებრივია, XXI საუკუნეში არანაირი განმასხვავებელი ნიშანი არც ერთ სახელმწიფოში არ უნდა არსებობდეს სქესის შესაბამისად, თუმცა საკმაოდ ხშირია პრაქტიკა, იქნება ის დაკავშირებული ოჯახში არსებულ ურთიერთობებთან თუ ოჯახის მიღმა, როდესაც ზიანი ადგება სწორედ ქალის ჯანმრთელობას, ღირსებას და ილახება კონსტიტუციითა და სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტით განსაზღვრული უფლებები. ქალთა უფლებრივი მდგომარეობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება არსებობდა სხვადასხვა სახელმწიფოში რამდენიმე საუკუნის წინ, როდესაც მათ მაგალითად არ გააჩნდა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ან არსებობს სოციუმში ჩამოყალიბებული მცდარი წარმოდგენები, რომლებიც, ერთმნიშვნელოვნად მცდარი და მიუღებელია.

კონვენციის არაერთი დებულება მიმართუილია ქალთა უფლებების დაცვისკენ, როდესაც ისინი იმყოფებიან ქორწინებაში და ის ამახვილებს ყურადღებას დისკრიმინაციულ მიდგომებზე, რომელიც შეიძლება ოჯახში ქმრის მხრიდან ვლინდებოდეს. ქართული კანონმდებლობა კონკრეტულად დისკრიმინაციასთან მიმართებით, თავად კონსტიტუციითაც ითვალისწინებს საკითხს და განმარტავს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია. [13]

[13] საქართველოს კონსტიტუცია, მე-11 მუხლის პირველი ნაწილი.

კონვენციის მე-16 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას ნებისმიერ საკითხთან მიმართებით. ქალთა უფლებებთან მიმართებით ამავდროულად საყურადღებოდ მიიჩნევა ის საკითხი, რომ მათ უნდა ჰქონდეთ კანონით განსაზღვრული გარანტია, ისარგებლონ აბსოლუტურად ყველა იმ უფლებით, რომელიც ამავდროულად გააჩნია მამრობითი სქესის წარმომადგენელს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც დაკავშირებულია კონვენციის შესაბამისად უფლებების დაცვაზე, მიმართულია იმ პროცესისკენ, რომელიც შეიძლება არსებობდეს არა უკვე ჩამოყალიბებულ ოჯახში, არამედ მისი ჩამოყალიბების პროცესამდე. ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით, კონვენცია რელევანტურად მიიჩნევს არსებობდეს ისეთი ოჯახური კოდექსი, რომელიც ქალს უფლებას მისცემს თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდეს შვილების რაოდენობას, მათი დაბადების შორის შუალედს, და ჰქონდეს ამავდროულად შესაძლებლობა მიიღოს განათლება, იფნრომაცია რომელიც მათი უფლების განხორციელებას უწყობს ხელს.

კოვნენცია დადებითად აფასებს იმ როლს და ღირებულებას, რომელიც ქალს გააჩნია ოჯახში. ხშირად მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სოციუმის გათვალისწინებით არ არის აღიარებული ქალის როლი ოჯახში და ის დადებითი შედეგები, რომელიც მის მიერ შეიძლება იქნას შეტანილი ოჯახის განვითარებაში და ბავშვის აღზრდაში. იმ მოცემულობის გათვალსიწინებთ, რომ

ზოგიერთ სოციუმში ჩამოყალიბებულია ისტორიულად დამახინჯებული მიდგომები და შეხედულებები, საჭიროა, რომ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით განმტკიცებული იქნას ის რეალური ღირებულება, რომელიც შეიძლება ოჯახის არსებობისთვის ქალს შესაძლოა გააჩნდეს და უნდა აღმოიფხვრას ის მიდგომები, რომლებიც შეიძლება არასწორად წარმოაჩენდეს ქალის როლს ოჯახში.

დეტალური განხილვა შეიძლება დამოუკიდებლად ამ ნაშრომის ფარგლებისა მიეძღვნას იმ დანაშაულის სპეციფიკას, რომელიც სწორედაც ჩამოყალიბებულია და ფორმირებულია საზოგადოებაში არსებული გარკვეული მცდარი წარმოდგენების შესაბამისად. ბუნებრივია, ამ ყველაფრის საფუძველი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა განმაპირობებელი მიზეზი, ადათ-ჩვეევები, ტრადიციები და სხვა, თუმცა ცალსახად უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ ქალთა უფლებების დაცვისკენ მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და ზოგადად სოციუმი, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში.

სხვადასხვა ლიტერატურაში არაერთხელ არის განვითარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ისეთ საკითხებთან მიმართებით ცვლილების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ტრადიციებთან, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს, რადგანაც არამხოლოდ ამ თემის ირგვლივ, არამედ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, როდესაც ხორციელდება სხვადასხვა მიდგომების დანერგვა აუცილებელია გათვალისწინებული იქნას იმ მომენტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, სამართლებრივი

მოცემულობა. იმ შემთხვევაში თუ მიდგომების დამკვიდრებას კანონმდებელი გადაწყვეტს ისეთი გზით, როდესაც ის არ მიაქცევს აღნიშნულ ასპექტებს ყურადღებას, არ გაითვალისწინებს იმპლემენტაციის პროცესს და შესაბამის მოკვლევას არ ჩაატარებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, შესაძლებელია რომ სასურველი მიდგომა აღმოჩნდეს აბსოლუტურად არარელევანტური, არაეფექტური და შედეგად შეიძლება ნეგატიური გავლენაც კი იქონიოს და პრაქტიკული მიზნის მიუღწევლობასთან ერთად, დაკარგული იქნება ის დრო, ენერგია და ადამიანური თუ ფინანსური რესურსი, რომელიც მისი მიღწევისათვის დაიხარჯა.

როდესაც საქმე უკავშირდება ოჯახში არსებულ ურთიერთობებს და იმ პოტენციური დანაშაულის აღმოფხვრისთვის განსახორციელებელ მოქმედებებს, რომელსაც საფუძვლად აქვს შესაბამის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური თუ სოციალური მძიმე ფონი, ამ შემთხვევაში თავს იჩენს დამატებითი სირთულეები, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ საკანონმდებლო მიდგომებით ვერ დარეგულირდეს. გამომდინარე აღნიშნულიდან, გონივრულად უნდა იქნეს მიჩნეული ის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მიმართული იქნება მსგავსი ტიპის დანაშაულების წარმოშობასთან. ლოგიკურად უნა იქნას მიჩნეული ამასთან დაკავშირებით ისეთი საკითხიც, რომელიც ზოგადად მიმართულია პირთა ინფორმატიულობისკენ და იმ ღირებულებების სწორად განსაზღვრისკენ, რომელიც შეიძლება ოჯახში მყოფ პირებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდეთ.

კოვნენცია მონაწილე სახეელმწიფოებს ავალდებულებს მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ, რომ სწორად იქნას გაგებული

დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორად გაგების ოჯახური აღზრის ელემენტები და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობა სწორად იქნას ფორმულირებული, რადგან ამ ყველაფერთან ერთად უპირატესად არის მიჩნეული ბავშვთა ინტერესები და ხელი უნდა შეეწყოს მათ დაცვას და არსებობას.

კონვენციის მუხლების ანალიზის შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ სწორად არის შეფასებული ის საკითხები, რომლის მიხედვითაც რთულია გარკვეული შედეგების მიღწევა საზოგადოებაში სპეციალური ინფორმაციის არსებობის გარეშე, საჭიროა არსებობდეს სპეციალური პროგრამები, სხვადასხვა შეხვედრები, რომლებიც ოჯახის სიდიდის დაგეგმავსთან, ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობასთან იქნება მიმართული.

1.4. ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია[14]

ოჯახური ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და იმ ღირებულებებთან მიმართებით, რომელიც შეიძლება აღნიშნულთან ასოცირდებოდეს, საინტერესოა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც მიღებული იქნა რომში, 1950 წელს.

[14] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.

აღნიშნული კონვენცია მიმართულია იმ ძირითადი უფლებებისადმი და თავისფულებებისადმი, რომლებზეც დაფუძნებულია საყოველთაო სამართლიანობა და მშვიდობა და რომელთან მიმართებითაც აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი დაცვის მექანიზმები, როგორც ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიის არსებობის შესაბამისად, აგრეთვე ადამიანის უფლებათა სასერთო გაგებით და უზრუნველყოფით.

კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა, ხოლო მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ამ უფლებაში განხორციელდეს საჯარო ხელისუგლების მიერ ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ჩარევა კანონით არის გათვალისწინებული. კონვენციის მე-8 მუხლი ამავდროულად განსაზღვრავს, დემოკრატიულ საზოგადეოებაში, იმგვარი მოქმედებების განხორციელებას, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, დანაშაულის, უწესრიგობისა და მსგავსი ტიპის არასასურველი შედეგების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი მოქმედებების გატარების აუცილებლობას, რომელიც მიმართული იქნება ამავდროულად ჯანმრთელობის ან სხვა სახის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

1.5. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი[15]

ოჯახური ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც მიღებულია გენერალური ანსამბლეის მიერ 1966 წელს და რეზოლუციის შესაბამისად ძალაშია 1976 წლიდან. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე არსებული პერიოდიდან აცნობიერებდნენ იმ გამოწვევებს და სირთულეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო პიროვნულ განვითარებასთან და ამავდროულად მათ არსებობას ხაზგასმით აღნიშნავდნენ ოჯახურ ურთიერთობებში.

მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს ვალდებულება გაუწიოს შეძლებისდაგვარად ყველაზე ფართო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით კი მისი შეექმნის დროს და ასევე იმ პერიოდში, როდესაც ოჯახის შესაბამის წევრებს ეკისრებათ ვალდებულება ბავშვზე იზრუნონ და იკისრონ მისი აზღრის პასუხისმგებლობა.

ამასთან, კოვნენციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ყველა საჭირო მოქმედება და ის პროცედურები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ოჯახური ძალადობის აღკვეთის მიზნით უნდა

[15] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან.

განხორციელდეს ოჯახური წარმოშობისა და სხვა გარემოებების შესაბამისად ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ყოველივე ზემოაღთნიშნული კონვენციისა და საერთაშორისო გამოხმაურებისა შესაძლებელია ითქვას, თუ რაოდენ დიდი რეზონანსით სარგებლობს ოჯახში არსებული უფლებები და იმ პირების ინტერესები, რომლებიც ასოცირდება ოჯახურ საქმიანობასთან, ცხოვრებასთან ან რაიმე ფორმით მოიაზრება ამა თუ იმ ოჯახის წევრად. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მიდგომები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ქალთა უფლებების მიმართებით, რადგანაც, როგორც ირკვევა სწორედ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან ოჯახის ის წევრები, რომელთა მიმართებითაც ყველაზე ხშირად ვლინდება სხვადსხვა ძალადობრივი მოქმედება.

გამომდინარე აქედან, შესაძლებელია ამავდროულად ითქვას, რომ კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ღირებულებები შესაძლებელია დაცული იქნას ორი სხვადსხვა მიმართულებით. პირველ შემთხვევაში, ამა თუ იმ ღონისძიებას უნდა გააჩნდეს ძალადობის აღკვეთის ბუნება და წინასწარ გარკვეული ბერკეტების შექმნა, რაც აღკვეთავს მათ არსებობას და მეორე შემთხვევაში, გასატარებელი პროცედურები დაკავშირებულია უკვე მომხდარი დანაშაულების იმგვარ გადაწყვეტასთან, რომ დაცული იყოს პირთა ღირსება, პატივი და არ მოხდეს სხვა უფლებების შელახვა.

2. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით პრაქტიკაში არსებული პრობლემები

ოჯახში არსებული ძალადობის პრევენცია შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას მთელი რიგი ღონისძიებებით, რომელიც მიმართულია ოჯახში ძალადობის გამოვლენისკენ, მისი აღკვეთისკენ და ამავდროულად სამომავლოდ მისი თავიდან აცილებსკენ. ამ შემთხვევაში მთავარი სუბიექტი, რომელსაც კანონით გათვალისწინებული მოქმედებებისა და პოლიტიკის განსაზღვრის შესაძლებლობა გააჩნია არის სახელმწიფო, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალება შესაძლებელია იყოს, როგორც სხვადასხვა ნორმატიული აქტი, ასევე სხვადასხვა ორგანოთა ერთობლივი ოპერირება, რომელთა შორის შესაძლებელია ამავდროულად მოიაზრებოდეს არასამთავრობო სექტორი. პრევენციის აღკვეთის საშუალებათა შორის შესაძლებელია მოიაზრებოდეს პირველ რიგში შესაბამის მკვლევართა ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლა, სტატისტიკის წარმოება, რისკ ჯგუფების გამოვლენა, მათი ინფორმირება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, რომელიც მიმართულია ერთობლიობაში აღკვეთის ღონისძიებების გატარებისკენ.

2.1. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ[16]

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის შესაბამისად აღკვეთ ღონისძიებებთან მიმართებით საინტერესოა შეფასებული იქნას 2017 წლის 4 მაისის კანონი, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობისათვის ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელ ქმედებათა ერთობლიობას, ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს და ასევე მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ კანონს ენიჭება საკმაოდ დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მასში არსებული დებულებების უმრავლესობა პრაქტიკული დატვირთვის მატარებელია და აქტიურად გამოიყენება ისეთი პრობლემური საკითხების გადასაჭრელად, რომელიც ოჯახში ძალადობას უკავშირდება. ასევე, ამ კანონის ანალიზი მეტად აადვილებს მკითხველისათვის იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენის

[16] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი # 761.

შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ოჯახში ძალადობის საქმეებში მტკიცების პრობლემებთან მიმართებით.

კანონი მიზნად ისახავს დაინერგოს და უზრუნველყოფილი იქნას საკანონმდებლო დონეზე ისეთი გარანტიები, რომლებიც მიმართული იქნება ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობისკენ, მათი აღიარების გზით. [17]

ამ კანონის მესამე მუხლი აზუსტებს ოჯახში ძალადობის დეფინიციას და განმარტავს, რომ ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. საქმის კვალიფიკაციის ეტაპზე, ბუნებრივია, უმთავრესი ყურადღება მიმართული იქნება აღნიშნული მოქმედების განხორციელების შემდეგ დამდგარი შედეგის გამოვლინებსა და შეფასებაზე.

ოჯახში ძალადობის ამგვარი დეფინიცია შესაძლებელს ხდის გამორკვეული იქნას ის მოქმედებები, რომლებიც სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს უნდა დაექვემდებაროს შეფასებას, შედეგთან მიმართებით. არეალი საკმაოდ ვრცელია და როგორც მე-3 მუხლი განსაზღვრავს ამ მოქმედებების ჩამონათვალი მოიცავს ზოგადად კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას, ასევე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას. ყოველი მათგანი დამოუკიდებელი და ინდივიდუალური

[17] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი # 761, მუხლი 2.

შეფასების ობიექტს წარმოადგენს. ამავდროულად კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს თითოეულის მცირედ შინაარს, რომელიც საქმის მსვლელობის დროს გამოსაყენებლად უნდა იქნას მიჩნეული.

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი მიმართულია[18] იმ მექანიზმების განმარტებისკენ, რომელიც პრევენციულ ღონისძიებებად შეიძლებ იქნას მიჩნეული. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმებად მოიაზრება გარკვეულწილად ის დებულებები, რომლებიც ნაშრომში კონვენციების მიმოხილვის ნაწილში იყო ნახსენები. მათგან აღსანიშნავია, ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვა, სტატისტიკის წარმოება, იმ პირთა მიმართ მოქმედებების განხორციელება, რომლებიც სხვადასხვა მონაცემთა დაყრდნობის შესაბამისად რისკ ჯგუფში მოიაზრებიან.

თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე საყურადღებოა, პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიმართულია უკვე დამდგარი შედეგის შემდგომ ეტპაზე.

კანონის მე-9 პრიმა მუხლი გულისხმობს ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენას, რომელიც თავისი შინაარსით განსაზღვრავს სამართლადამცავი ორგანოებისა და სასამართლო ორგანოების როლს ისეთი შემთხვევებში, როდესაც საქმე უკავშირდება ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენას. შემუშავებულია ე.წ. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი, ზემოთხსენებულ პირთა შესაბამისად და პირველადი იდენტიფიკაციის შემდეგ, მასზე რეაგირების მიზნით

[18] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი # 761.

შესაბამისი ორგანოების მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებეულებებს და ასევე თუ საქმე უკავშირდება არასრულწლოვანთა მიმართ დანაშაულს, მაშინ საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, მერუვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, კანონით განსაზღვრული სხვა სუბიექტებთან ერთად.

გარდა განხილული კანონისა საქართველოში ამავდროულად არსებობს სხვა ნორმატიული მასალა, რომელიც მიმართულია ოჯახში ძალადობის საქმეები პრევენციისკენ და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისკენ. მათ შორის საყურადღებოა საქართველოს მთავრობის განკარგულება #406[19], რომელიც ამტკიცებს ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლათა დაცვის დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალუირ გეგმას, ოჯახში ძალადობის მსვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტვის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის განკარგულება. [20]

პრევენციასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშნველოვანი მეთოდი განსაზღვრულია ქართულ ლიტერატურაში. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ოჯახში მოძალადეზე ზემოქმედებას, მისი რესოციალიზაცია-

[19] ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება #406.

[20] ოჯახში ძალადობის მსვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტვის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის განკარგულება.

რეაბილიტაციის მიზნით და დაკავშირებულია ძალადობის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციასთან.[21]

2.2 მტკიცებულებათა მოპოვების თავისებურებანი ოჯახში ძალადობის საქმეებზე

მტკიცებულებათა შეგროვების ეტაპზე საყურადღებოდ უნდა იქნას მიჩნეული ის ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც შესაძლოა გამოვლენილი იქნას უშუალოდ იმ ურთიერთობების დროს, რომელიც შეიძლება ოჯახში არსებობდეს, თავად ოჯახის წევრებს შორის. აღნიშნულ მოქმედებათა შორის შესაძლებელია გამოყოფილი იქნას:

1. ფიზიკური ძალადობა;

2. ფსიქოლოგიური ძალადობა;

3. იძულება;

4. სექსუალური ძალადობა;

5. ეკონომიკური ძალადობა;

თავად ოჯახში ძალადობაში მოიაზრება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორეის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.[22]

---

[21] შალიკაშვილი მორის, 2017, თბილისი, 186.

[22] გოგუაძე, ელენე, 2017, აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის

მტკიცებულებათა მოპოვების ეტაპზე საორიენტაციოდ, შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას სწორედ ის დეტალები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ზემოთხსენებული საკითხებთან მიმართებით. მტკიცებულებათა შეგროვება, შესაბამისი უწყებების მხრიდან, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა გზით. ამავდროულად, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულთა შეგროვების ეტაპზე საგულისხმოა გათვალისწინებული იქნას ის ორგანოები და პირები, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მოიპოვონ მტკიცებულებები.

მსგავს სიტუაციებთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრებები თავად დაზარალებულთან დაკავშირებით, რომელიც ოჯახის წევრად ვლინდება. ასეთ ადამიანთან მიმართებით მიმოხილულია ფსიქოლოგიური ასპექტები და ის საკითხები, რომლებსაც სუბიექტური გავლენა აქვს მასზე.

აღნიშნული სიტუაცია ხასიათდება სპეციფიური ბუნებით, რადგანაც კონკრეტული ფსიქოლოგიური ასპექტი, სხვა შემთხვევებთან მიმართებით გამოვლენილი ძალადობრივი მოქმედებების მიმართ იშვიათ შემთხვევებში ვლინდება.

2.2.1. ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

აქტუალური საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, N2, თბილისი, 66-67.

ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასების საკითხი შესაძლებელია გავმოლენილი იქნას ჩვენების მიცემაზე უარის თქმის სახით, რომელთან მიმართებითაც არსებობს რამდენიმ სასამართლო გადაწყვეტილებაც.

საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი განმარტავს, რომ „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით“. საქმის განხილივს დროს მოწმეს აქვს სწორედ აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით მინიჭებული უფლებამოსილება და ოჯახში ჩადენილი დანაშაულის კონცეფციის გათვალისწინებით, რომლის დროსაც პირი სხვადასხვანაირი ფორმით განიცდის ზეწოლასა და ზემოქმედებას აქვს უფლება უარი განაცხადოს აღნიშნული ჩვენების მიცემაზე.

მსგავსი მოქმედების განხორციელებით ისინი რეალურად ხელს უწყობენ ბრალდებულს და ხელიდან აცლიან უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას, რომელიც საქმის განვითარებისთვის და წარმატებით დასრულებისთვის უმნიშვნელოვანესად მიიჩნევა.[23]

ფსიქოლოგიური ასპექტების ჩამონათვალი იმ ფაქტთან მიმართებით, რომ დაზარალებულმა ოჯახის წევრმა უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე და ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით,[24] საკმაოდ ვრცელია.

---

[23] გაბრიჩიძე ნ., 2005, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდიკა, თბილისი, 235.

[24] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელიც არ არის ვალდებულებლი იყოს მოწმე. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნტის შესაბამისად, გათვალისწინებულია ასეთ პირთა სიაში ბრალდებულის ახლო ნათესავი.

ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით, დაზარალებული ოჯახის წევრი ხშირ შემთხვევაში მიისწრაფვის გარკვეული ღირებულებების შენარჩუნებისკენ, რადგან ის დაკავშირებულია ოჯახთან. შესაძლებელია მისი სურვილი იყოს არსებული ურთიერთობის (ცოლ-ქმრული) შენარჩუნება და მოლოდინი იმისა, რომ ის ფაქტი ან შემთხვევა, რომელიც მოხდა შესაძლებლია მომავალში აღარ მოხდეს ან ის პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი მოქმედება, სამომავლოდ შეიცვლება.

გარდა ამისა, შესაძლებელია ჩვენების მიცემა განპირობებული იყოს იმის შიშით, რომ სამომავლოდ შეიქმნას გარკვეული პრობლემები ფინანსური თვალსაზრისით და ამ მიმართულებით გართულდეს მანამდე არსებული მდგომარეობა. ასევე შესაძლებელია ოჯახში არსებობდეს ისეთი სიტუაცია, რომ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით სხვა წევრებისგან აქვს გარკვეული მითითებები მიღებული, რაც გადაწყვეტილების მიღებაზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული ჩარევა შესაძლებელია გამოხატული იქნას არა მხოლოდ უბრალოდ საუბრით ან მითითებით არამედ რაიმე ფორმის ზეწოლით, გავლენით ან თავად ამ პირის კულტურული თუ რელიგიური შეხედულებებით, რომელიც ითვალისწინებს ოჯახის წევრის საწინააღმდეგო მოქმედების დაგმობას. შესაძლებელია ამავდორულად ასეთ ადამიანს ჰქონდეს ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად შიში და თავს აღიქვავდეს ბრალდებულის მსხვერპლად, რომელიც ნეგატიურად აისახება ამავდროულად ჩვენების მიცემის ფაქტზე.

ასევე გასათვალისწინებელია ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეული გარემოება, რომელიც უკავშირდება თავად სასამართლო პროცესის წარმართვას და შიშს, რომელიც აღნიშნულს შეუძლია გამოიწვიოს. [25]

ასევე ზოგადად შესაძლებელია გარკვეული დისკომფორტი წარმოიშვას მხარეთა მხრიდან პროცესზე ერთობლივად დასწრების დროს.

გამომდინარე ლიტერატურაში განვრცელებული ამგვარი მიდგომების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ თითოეული გარემოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ოჯახურ დავებთან დაკავშირებით, შეიძლება ნეგატიურ ასახვას ჰპოვებდეს ჩვენების მიცემის ფაქტზე.

გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია ჩვენებაზე უარის თქმის უფლებამოსილება მოწმის მიერ, ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც დაზარალებული ჩვენების გამოთხოვას მიმართავს.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილება[26], რომლის დროსაც მიმართვა დაფიქსირებული იყო დაზარალებულის მხრიდან და აღნიშნული ჰქონდა, რომ სისტემატიურად ხორციელდებოდა ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობა. თუმცა საქმის განვითარების შემდგომ ეტაპზე დაზარალებულმა ჩვენება გამოითხოვა და აღნიშნა, რომ ძალადობას ადგილი არ ჰქონია და მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი დაპირისპირება იყო, რომელსაც დამატებითი უარყოფითი ძალადობრივი შედეგი არ მოჰყოლია.

---

[25] კვაჭაძე მ. ჯუღელი ნ. და ე. ღვინჯილია, 2018, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N3 (59), 2018, 27-28.

[26] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენი საქმეზე - N 1/2490-18

აღნიშნული ფაქტი შესაძლებელია ამავდროულად გამოწვეული ყოფილიყო ფსიქოლოგიური ზეწოლის ან ურბალოდ სუბიექტური შეხედულებით, რომელიც ამ ადამიანს გააჩნდა.

ყველა ზემოთხსენებული ფაქტი საბოლოო ჯამში ართულებს მტკიცების პრობლემებს, რადგანაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოწმის ჩვენებას, რომელსაც ამავდროულად ერთვის სხვა მტკიცებულებები.

საყურადღებოდ უნდა იქნას მიჩნეული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ლეგიტიმური მოქმედების ფარგლები ჩვენებების შეფასების ეტაპზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის შესაბამისად, მოწმის ჩვენებად მიიჩნევა მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ. აღნიშნული ჩანაწერის გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა გაიზიაროს ის ინფორმაცია, რომელიც სხდომაზე მიეწოდება მას მოწმისგან და არა გამოძების ეტაპზე მოწმის გამოკითხვის ოქმი.

ამასთან ერთად აუცილებელია ასევე აღინიშნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც განიხილებოდა განზრახ მკვლელობის მცელობის საკითხი.

დაზარალებულმა დაკითხვისას უარყო შვილის მხრიდან მკვლელობის მცდელობის ფაქტი და აღნიშნა, რომ აღნიშნული დაზიანებები მან მიიღო თავისი დაუდევრობით, წნელებზე დაცემის შედეგად. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საფუძველი უნდა ყოფილიყო

ბრალდებულების გასამართლებლად, თუმცა, უზენაესი სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული დამატებით წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები, რომლებიც დაფიქსირებული იყო საქმის მასალებში. მსჯელობისას განხილული გარემოებების გათვალისწინება გულისხმობს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია საქმის ობიექტურად განხილვისა და მოსამართლის გონივრულობის შესაბამისად, მხოლოდ მოწმის ჩვენების მიცემა/არ მიცემის საკითხი არ იყოს განმსაზღვრელი დანაშაულის კვალიფიკაციისთვის და საგულისხმოა დამატებით მომოხილული იქნას სხვა მტკიცებულებებიც. [27]

3. მტკიცების პრობლემების მიმოხილვა საზღვარგარეთ ლიტერატურის მიხედვით

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არსებული მოცემულობის შესახებ ვხვდებით არაერთ მოსაზრებას უცხოურ ლიტერატურაში. [28]

ხშირ შემთხვევაში მათი უმრავლესობა მიმართულია იმ საკითხის მტკიცებისკენ, რომ ოჯახური ძალადობის საქმეებში მტკიცების ეტაპზე რთულია მოძიებული იქნას ისეთი ადამიანი, რომელიც სხვა სტანდარტულ შემთხვევაში შესაძლოა პოტენციურად არსებობდეს მოწმის სახით.

---

[27] ხატიაშვილი გოგა, 2019, საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი, 46.

[28] Hanna Cheryl, 1998, The Paradox of Hope: The Crime and Punishment of Domestic Violence, Wm. & Mary L. Rev. 1505, 39.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გატარებული მნიშვნელოვანი პროცედურებისა, დღეს არსებული მოცემულობით ოჯახში ძალადობა მაინც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საჭიროებს სათანადო ყურადღებას.[29]

1981 წლის კანონი სისხლის სამართლებრივი პროცედურების შესახებ [30]სამართლებრივად ლეგიტიმურ მტკიცებულებად მიიჩნევს 4 შესაძლო ვარიანტს:

1. მოწმის ჩვენება;
2. ექსპერტის დასკვნა;
3. წერილი;
4. მითითება (სამხილი)

გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადი მოცემულობით მტკიცების პრობლემები დაკავშირებულია ფაქტობრივ სირთულესთან და აღნიშნულის გამორკვევის უფლებამოსილება გააჩნია სასამართლოს, მიჩნეულია ლიტერატურაში, რომ აღნიშნული მტკიცებულებები ღირებულია ყველაზე მეტად ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი მატერიალური გამოხატულებით არის წარმოდგენილი. განსხვავებით სამოქალაქო-სამართლებრივი შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო მიისწრაფვის ფორმალური სიმართლის დადგენისკენ, სისხლის-სამართლებრივი საკითხების განხილვის შემთხვევაში მიზანია დადგნიდეს მატერიალური სისწორე.

---

[29] U.S. Department of Juistice Bureau of Justice Statistics, 1994, Violence Against Women: A National Crime Victimization Survey Report, 1-3.
[30] LAW NUMBER 8 YEAR 1981 Concerning The Criminal Procedure.

აღნიშნულის მიღწევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს იმ ფაქტთა და მოქმედებათა ნამდვილობის განსაზღვრა, რომელმაც შედეგად გამოიწვია განსაზღვრული ზიანი. 1981 წლის მე-8 კანონის 183-ე მუხლის შესახებ, რომელიც დაკავშირებული სისხლის-სამართლებრივ საპროცესო მოქმედებებთან მიჩნეული იყო, რომ მოსამართლე არ არის უფლებამოსილი განიხილოს რომელიმე პირის მიერ მიცემული ჩვენება ისეთ შემთხვევაში თუ ის არ არის დამტკიცებული 2 კონკრეტული სამხილის შესაბამისად, როგორც მინიმუმ. აღნიშნულ მოცემულობასთან დაკავშირებით ობიექტურად მიიჩნევა პრინციპი "unus testis nulus testis" რომელიც გულისხმობს ერთი მოწმის არსებობა მოწმის არარსებობას ნიშნავს.

სტანდარტული შემთხვევებისგან დამოუკიდებლად განსაკუთრებული სირთულის შემცველია სწორედ ოჯახში ჩადენილი დანაშაული, რადგანაც არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, როგორც ნაშრომში იქნა უკვე აღნიშნული, ხშირია მოწმის ნაკლებობა, რაც არა თუ ერთ არამედ საერთოდ არც ერთ მოწმეს გულისხმობს. ამ შემთხვევაში საგულისხმოდ მიიჩნევა უკვე ის მატერიალური სამხილები, რომლებიც განსაზღვრულია სამედიცინო ჩანაწერების შესაბამისად. პროცედურული თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ ენიჭება საკმაოდ მაღალი მნიშვნელობა სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას პაციენტთან მიმართებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი[31]ს მე-3 მუხლის მიხედვით, მტკიცებულებად მიიჩნევა კანონით დადგენმილი წესით

[31] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სასამართლოში მხარეთა მიერ გარკვეული ფაქტების დადასტურება ან უარყოფა, რომელიც საბოლოო ჯამში, მიმართულია დანაშაულის დადგენისკენ ან უარყოფისკენ. დოკუმენტთა რიგებში კი მოიაზრება, სიტყვიერი ფორმით ან/და ფოტო, კინო, ვიდეო , ბგერის ჩანაწერი. კონკრეტულად მტკიცებულების შეფასების პროცესში საგულისხმოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისად, მოწმის ჩვენება მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ობიექტურ მიზეზთა გამო მას არ აქვს შესაძლებლობა სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს ან აღიდგინოს ფაქტები.

მტკიცების პრობლემებთან დაკავშირებით ყურადღება ამავდროულად გამახვილებულია იმ მიდგომებთან მიმართებით, რომლებიც პრაქტიკაში განვითარებულია პოლიციელთა ჩართულობის ეტაპზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგალითად დიდ ბრიტანეთში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიძებნება არაერთი მითითება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ოჯახური ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით თუ ხორციელდება ზარი პოლიციაში, აღნიშნულთან მიმართებით პოლიციის ჩართულობა ხორციელდება ისეთი ფორმით ხშირ შემთხვევაში, რომელიც სასამართლო მტკიცებულებების შესაბამისი ფორმით შეგროვებას არა ეფექტურად წარმოადგენს.

მიჩენულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პოლიციელთა ჯგუფების გადამზადება მოხდება, სპეციალურად ისეთ საქმეებთან დაკავშირებით,

რომლებიც ითვალისწინებს ოჯახურ ძალადობას, მაშინ მათი ოპერირებით და ჩართულობით შეგროვებული მტკიცებულებები და ჩვენებები შესაძლოა განსაკუთრებულად ზრდიდეს სასამართლოში წარსადგენ სამხილთა გამოყენებადობის შესაძლებლობას.[32]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსახვავება, რომელიც გათვალსიწინებული უნდა იქნას სასამართლოს მიერ ოჯახური ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით, მიმართულია იმ სპეფიციური შეფასების მომენტთან, რომელიც ეხება ბრალდებულის პერსონაჟის განსაზღვრას. აღნიშნულის შესაბამისად, სხვაგვარად რომ ითქვას, სასამართლომ განხილვის პროცესში უნდა განიხილოს, როგორც უშუალოდ დამდგარ შედეგთან მიმართებით მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მან ამავდროულად უნდა განსაზღვროს ის ხასიათი, ბუნება და პიროვნული თვისებრები, რომლებიც ამ მოქმედების განმახორციელებელს გააჩნია. აღნიშნულს გააჩნია კონკრეტული მოტივი, რომ აღკვეთილი იქნას, სამომავლო დანაშაული ოჯახის წევრების მიმართ და შედეგად აცილებული იქნას არასასურველი შედეგებიც. მტკიცების ეტაპზე აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო რთულად განსაზღვრადია, რადგანაც სხვადასხვა ლიტერატურაში განვითარებული მოსაზრებათა მიხედვით, აღნიშნული მოითხოვს სპეციალურ, კომპლექსურ მოკვლევას სხვადასხვა სამედიცინო სფეროს

[32] Mandy Burton, Legal Responses to Domestic Violence, Routledge Cavendish, Taylor & Francis Group, London and new York, 2008,

სპეციალისტების მეშვეობით, რომელთა შორის ასევე მოიაზრებიან ფსიქოლოგებიც. [33]

4. ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართების მტკიცების პრობლემების მიმოხივლა სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად

[33] Imwinkelried J. Edward, 1990, The Use of Evidence of an Accused's Uncharged Misconduct to Prove Mens Rea: The Doctrines Which Threaten to Engulf the Character Evidence Prohibition, 51 Ohio St. L. J. 575-576.

საგულისხმოა განხილული იქნას საკითხთან დაკავშირებით ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის შემთხვევებში მტკიცების საკითხებთან.

ერთ-ერთ საქმესთან მიმართებით[34] სასამართლოს განსახილველი ჰქონდა ოჯახში ძალადობის ფაქტი, რომლის დროსაც, ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მეუღლემ არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მიაყენა შუბლის არეში ჭიქის სროლითა და ხელის დარტყმით მეუღლეს ისეთი ფიზიკური ზიანი, რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მოშლა და მხოლოდ მსუბუქი ზიანის სახით გამოიხატა. აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით სასამარლოს მიერ განხილვის პროცესში მხედველობაში მტკიცებულების სახით განსაზღვრული იქნა დანაშაულის განხორციელების მომენტში 4 პირის ჩვენება, შემთხვევის ადგილზე დათვალიერების ოქმი და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და შედეგად გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად იქნა მიჩნეული განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო მოქმედების არსებობა.

ექსპერტიზის დასკვნასთან მიმართებით განვითარებული მსჯელობა ლიტერატურაში მიუთითებს, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის საქმეებში არ არსებობს მოწმე და საექსპერტო შეფასებას,

[34] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე 2კ-367 აპ. -17.

სხვადასხვა მოცემულობათა შესაბამისად ზოგ შემთხვევაში საქმის გადაწყვეტისთვის შეიძლება მნიშვნელოვანი როლი გააჩნდეს.[35]

მისაღებია ის ფაქტი, რომ ასეთმა მიდგომა გარკვეულწილად მაქსიმალურ სიფრთხილესთან ასოცირდება, რომლის მიხედვით სასამართლო მიზნად ისახავს, მაქსიმალურად იქნას აცილებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ბრალის შერაცხვას მცდარად მოახდენს. პრაქტიკული განსაზღვრის შესაბამისად გონივრულია ასეთი მიდგომა, თუმცა მეორე მხრივ ის უკავშირდება გარკვეულ სირთულეებს, როდესაც არ არსებობს მოწმე ან კონკრეტულად ის პირი ვინც უშუალოდ იყო აღნიშნული ფაქტის შემსწრე. ამ შემთხვევაში კი მტკიცებულებათა რაოდენობა შესაძლებლობას იძლეოდა მოსამართლეს ერთობლიობა კუმულაციურად განხილულიყო და მიღებული ყოფილიყო მხედველობაში კანონსაწინააღმდეგო ფაქტის განსაზღვრის თვალსაზრისით.

მსგავსი მიდგომა გათვალისწინებულია არა ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში რაც ამტკიცებს სასამართლოს მიერ განვითარებულ პრაქტიკას, რომლის დროსაც ოჯახში დანაშაულის არსებობა საჭიროა მტკიცების ეტაპზე დადასტურებული იქნას რამდენიმე სარწმუნო სამხილისა და ჩვენების შესაბამისად.[36]

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია საკმაოდ ბევრნაირი ფორმის სუბიექტური

---

[35] Aiken H. Jane and JANE C. MURPHY, Evidence Issues in Domestic Violence Civil Cases, Family Law Quarterly Vol. 34, No. 1, Spring 2000, 43-62.

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე #109ა3-18.

ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია დაზარალებულის მდგომარეობასთან. აღნიშნული საკითხის შეფასება შეიძლება მოიცავდეს სპეციალიზირებულ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მაგალითად შეიძლება ითვალისწინებდეს შესაძლო დაზარალებულის სტრესის კოეფიციენტს ან მასზე ზეწოლის მოცულობას. როდესაც ზიანი გამოხატულია ფიზიკური ზემოქმედების შესაბამისად, ბევრად მარტივია მისი სათანადო მტკიცებულების მოძიება, თუნდაც საექსპერტო დასკვნის საფუძვლით, თუმცა როცა აღნიშნული უკავშირდება მენტალური მდგომარეობის და მენტალური ზეწოლის შედეგად წარმოშობილ ზიანს, საჭიროა სწორედ ამგვარი სპეციალიზირებული შეფასების გამოყენება.[37]

კიდევ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქართველოს სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების ეტაპზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლზე და განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით განსაზღვრული დანაშაულის ჩადენისათვის საჭიროა გამოყენებული იქნას მოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოსამართლეს იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტის შესაბამისად.[38]

განსხვავებით იმ მოცემულობებისა, რომლის დროსაც წარმოდგენილი იქნა კონკრეტულ საქმეებთან მიმართებით შესაბამისი მტკიცებულებები, საგულისხმოა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქართველოს სისხლის

---

[37] Bishop Charlotte and Vanessa Bettinson, 2017, Evidencing domestic Violence, including behavior that falls under the new offence of "Controlling or coercive behaviour", 19-20.
[38] საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენი, საქმე #1/ბ-1001-17

სამართლის კოდექსის 126[1] განსაზღვრული დანაშაული[39] ხორციელდება ისეთ გარემოებაში, როდესაც არსებობს მხოლოდ ერთი კონკრეტული მოწმე და რომელიც ამავდროულად დაზარალებულის სტატუსით არის წარმოდგენილი.[40] საგულისხმოა, რომ სასამართლოსთვის ასეთი შემთხვევის შეფასების დროს, ესაჭიროება იმაზე მეტი მტკიცებულება, ვიდრე მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება. მართალია, შესაძლებელია დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით ჩატარდეს ექსპერტიზა და სხვა კვლევები, თუმცა მხოლოდ ჩვენებასთან დაკავშირებით განვითარებული მოსაზრებები ლიტერატურაში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სარწმუნოდ არ უნდა იქნას მიჩნეული და საჭიროა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც არსებულ ეჭვს გაამყარებს ან გააქარწყლებს. [41]

ერთ-ერთ საქმეში სასამართლო მიუთითებს ისეთ გარემოებაზეც, რომლის დროსაც კონკრეტული ფაქტის შემსწრე არ ყოფილა ადგილზე მყოფი რამდენიმე პირი და მათ დაინახეს უკვე დაზარალებული პირი შესაბამისი დაზიანებებით. ასეთ დროს აღნიშნულია, რომ დაინახავენ დაზარალებულ პირს, რომელსაც მიყენებული აქვს გარკვეული დაზიანება, საკმარისად არ იქნება მიჩნეული მტკიცებულებად, რადგანაც საჭიროა უშუალოდ აღნიშნული ფაქტის ხილვა, რომ ვინმე „ა“ ადამიანმა მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება „ბ“-ს. ბუნებრივია, არსებული შეფასება, განსაკუთრებით ართულებს მტკიცების საკითხს, თუმცა კვლავ იკვეთება სასამართლოს მიზანი, მაქსიმალურად დარწმუნდეს

[39] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პრიმა ნაწილი.
[40] Visum Et Repertum: No: R-012/Pusk-CMP/VER/III/2017.
[41] Astari Ayu Sindi and Beniharmoni Harefa, 2021, The Implementation of Proof System in the Criminal Act of Domestic Violence, Awang Long Law Review, Vol. 3, No.2, 204-205.

განხორციელებული მოქმედების ავთენტურობაში ბრალდებულთან მიმართებით.

გარდა ფიზიკური დაზიანებებისა მტკიცების პრობლემატურობა კიდევ შესაძლებელია გამოხატული იქნას უფრო მეტი განსაკუთრებული სირთულით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ფსიქოლოგიურ ზეწოლას, შანტაჟს ან სხვა ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ფიზიკურ ზიანს არ აყენებს რომელიმე სუბიექტს, თუმცა მას რეალური ზიანის მიყენება შეუძლია მენტალური თვალსაზრისით, რომლის საკმაოდ ბევრი შემთხვევაც არსებობს პრაქტიკაში.

გამომდინარე აქედან, შესაძლებელია ითქვას, რომ პრევენციული ხასიათის მოქმედებების გატარება საკმაოდ დადებითი შედეგის მომტანი იქნება ოჯახური ძალადობის აღკვეთის თვალსაზრისით, რადგანაც, ხშირია ისეთი შემთხვევები, რომლის დროსაც მოსამართლე ფიზიკურად მოკლებულია ობიექტურ შესაძლებლობას, მტკიცებულებათა ნაკლებობის გათვალისწინებით, გამოიტანოს პოტენციური მოძალადის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი.

დასკვნა

ნაშრომში განხილული საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვან თემას უკავშირდება და საგულისხმოა, მასთან დაკავშირებული დეტალები მკითხველის მხრიდან სწორად იქნას აღქმული.

ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით მსჯელობა და ის არგუმენტაცია, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე იქნა წარმოდგენილი, შესაძლებლობას იძლევა გამოკვეთილი იქნას რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც, ერთი მხრივ, ხაზგასმით მიუთითებს თემის აქტუალურობასა და მნიშვენლობაზე და მეორე მხრივ, ასახელებს იმ პრობლემებს, რომლებიც სხვადასხვა სოციუმისა და სოციალური მოცემულობის გათვალისწინებით იმსახურებს ყურადღებას და გადაწყვეტას.

ოჯახის წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისად არსებული უფლებების განმტკიცებასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი კონვენცია, საერთაშორისო პაქტი და შიდა სახელმწიფოებრივი

კანონი, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ ღირებულებებსა და უფლებებზე, რომელთა დაცვის საკითხებში ჩაბმული უნდა იყოს არამხოლოდ კონკრეტული სახელმწიფო ორგანოები, არამედ თავად საზოგადოების წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციები. გამომდინარე იქიდან, რომ სისხლის სამართლებრივ საქმეებში ზოგადად მტკიცების საკითხი, ობიექტური მოცემულობის შეფასებით ისედაც ითვალისწინებს სირთულეებს, ოჯახში ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით აღნიშნული საკითხი, ნაშრომში დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით კიდევ უფრო რთულად არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო კონვენციები, შესაბამისი სწავლებისა და სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, მიუთითებენ ისეთი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე, რომლებიც მიმართული იქნება ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ პირველ რიგში, და შემდგომში იმ პროცედურების დანერგვა-განხორციელებისკენ, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა ინსტანციებსა და დაინტერესებულ პირებს, სწორი ფორმულირება მისცენ აღნიშნულ საქმეებს.

ძირითადი პრობლემები, რომელიც მტკიცებას უკავშირდება ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით, გამოხატულია თავად აღნიშნული ინსტიტუტის ობიექტური მოცემულობით, რომელიც ითვალისწინებს, მტკიცებულებათა იმგვარ ერთობლიობას, რაც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს სამხილები უტყუარად მიიჩნიოს საქმის განხილვის პროცესში.

სხვადასხვა ლიტერატურის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოყოფილი იყოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია

მტკიცებულების შეგროვების პროცესში არსებულ სირთულეებთან. რადგანაც ოჯახში არსებული კავშირები წევრებს შორის საკმაოდ სუბიექტურია ხშირ შემთხვევაში და ამ ყველაფერს ემატება ისეთი ფაქტორები, რომლებიც გამომდინარეობს კულტურული, სოციალური და რელიგიური შეხედულებების შესაბამისად, რომელიც ართულებს საკითხს. სწორედ აქედან გამომდინარე ნაშრომში განხილული იყო მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებული ფაქტორები, რომლის შესაბამისად დაზარალებული პირი უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობის გათვალისწინებით. შესაძლებელია ასევე ისეთი შემთხვევებიც იქნას განხილული, რომლის დროსაც დაზარალებული პირი გამოითხოვს თავის ჩვენებას და აღნიშნულის შესაბამისად მოწმის ჩვენება ვეღარ იქნება გამოყენებული მტკიცებულებად.

რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის სპეციფიკასა და ბუნებას, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს საკითხებთან დაკავშირებით დიდ როლს თამაშობს საზოგადოებაში არსებული მოსაზრებები, ტრადიციები და ადათები, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს, თუნდაც ძალადობრივი მოქმედების დროს.

საერთაშორისო შეთანხმებებში გათვალისწინებული საკითხები, ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ არის და აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით საჭიროა რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოკვეთა.

პირველ რიგში, საჭიროა გატარდეს პრევენციული ხასიათის ზომები, რომელიც უნდა განხორციელდეს სახელმწფიო ინსტუტებისა და

საზოგადოების აქტიური ჩარევით, რადგანაც სხვაგვარად შეუძლებელია, დამახინჯებული ფორმით, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციების უფრო მეტად ლოიალურისკენ შეცვლა და გაუმჯობესება.

აღნიშნული მიზანი, ბუნებრივია საკმაოდ დიდ სირთულესთან და განხორციელების ობიექტურ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რაც ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული სოციალურ ფაქტორს და ამავდროულად იმ ელემენტების გათვალისწინებას, რაც მოიცავს ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს.

მეორე მხრივ, საჭიროა გატარდეს მნიშვნელოვანი სწავლებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპეციალიზირებულ დაწესებულებებს სწორი ფორმით აწარმოონ საქმიანობა ოჯახური ძალადობის შემთხვევებთან მიმართებით. პოლიცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში პირველი ინსტიტუცია არის, ვისაც დაზარალებულთან უწევთ შეხება. ნაშრომში არაერთხელ იქნა აღნიშნული ის მიდგომები, რომლებიც უნდა დამკვიდრდეს აღნიშნულ ორგანოებში და ის შესაძლო ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მტკიცების ნაწილში შესაბამის პირს მეტი სამხილი თუ გასათვალისწინებელი დეტალი ჰქონდეს ხელთ.

რაც შეეხება საპროცესო რეგულაციებს და მიდგომებს, უნდა აღინიშნოს რომ პროცედურული თვალსაზრისით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მიდგომა და ის პრაქტიკა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო ანვითარებს მისაღებია, რამდენადაც ის იზიარებს მტკიცებულებათა გათვალისწინების ფორმას, ელემენტებს და

მიმართულია იმ უფლებების დასაცავად, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს ესა თუ ის სასამართლო პროცესი.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ის პრობლემები, რომლებიც ჩვენების მიცემის შესაბამისად მტკიცებულებების არსებობას უკავშირდება, საჭიროა მხედვლეობაში იქნას მიღებული კომპლექსური მიდგომა, რომლის დროსაც მოხდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ხელშეწყობა მცდარი წარმოდგენების შეცვლის მიზნით.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოში ამ მიმართულებით, დღევანდელი მოცემულობით, არსებობს ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ზემოხსენებული საქმიანობით არიან დაკავებულნი და აქტიურად იცავენ ოჯახში ძალადობით დაზარალებულ პირებს, თუმცა მიმაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა მეტად საყურადღებოა და ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებისგან მოითხოვს უფრო მეტ ჩართულობას, რაც თავისმხრივ გულისხმობს შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსის გამოყოფას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
4. საქართველოს კონსტიტუცია.

5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესაახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია.
6. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, 1979 წლის 18 ოქტომბერი.
7. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან.
8. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი # 761.
9. ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კონკრეტული ღონისძიებების სპეციალური გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულება #406.
10. ოჯახში ძალადობის მსვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის განკარგულება.

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. ლეკვეიშვილი მზია, თოდუა ნანა და გოჩა მამულაშვილი 2014, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
2. შალიკაშვილი მორის, 2017, კრიმინოლოგია.
3. გოგუაძე, ელენე, 2017, აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის

სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, N2, თბილისი.

4. გაბრიჩიძე ნ., 2005, საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდიკა, თბილისი.
5. კვაჭაძე მ. ჯუღელი ნ. და ე. ღვინჯილია, 2018, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N3 (59), 2018.
6. ხატიაშვილი გოგა, 2019, საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Hanna Cheryl, 1998, The Paradox of Hope: The Crime and Punishment of Domestic Violence, Wm. & Mary L. Rev. 1505, 39.
2. Isaac E. Nancy and V. Pualani Enos, 2001, Documenting Domestic Violence: How Health Care Providers Can Help Victims, National Institute of Justice Research in Brief, U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, National Institute of Justice, N3.
3. Warshaw Carole, Ganley L Anne and Patricia R. Salter, 1995, Improving the Health Care Response to Domestic Violence: A Reesource Manual for health Care Providers The Family Violence Prevention Fund.
4. U.S. Department of Juistice Bureau of Justice Statistics, 1994, Violence Against Women: A National Crime Victimization Survey Report, 1-3.
5. Mandy Burton, Legal Responses to Domestic Violence, Routledge Cavendish, Taylor & Francis Group, London and new York, 2008.
6. Imwinkelried J. Edward, 1990, The Use of Evidence of an Accused's Uncharged Misconduct to Prove Mens Rea: The Doctrines Which Threaten to Engulf the Character Evidence Prohibition, 51 Ohio St. L. J. 575-576.

7. Aiken H. Jane and JANE C. MURPHY, Evidence Issues in Domestic Violence Civil Cases, Family Law Quarterly Vol. 34, No. 1, Spring 2000, 43-62.
8. Bishop Charlotte and Vanessa Bettinson, 2017, Evidencing domestic Violence, including behavior that falls under the new offence of "Controlling or coercive behaviour", 19-20.
9. Astari Ayu Sindi and Beniharmoni Harefa, 2021, The Implementation of Proof System in the Criminal Act of Domestic Violence, Awang Long Law Review, Vol. 3, No.2, 204-205.
10. LAW NUMBER 8 YEAR 1981 Concerning The Criminal Procedure

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე 2კ-367 აპ. -17.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე #109აპ-18.
3. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის განაჩენი, საქმე #1/ბ-1001-17
4. Visum Et Repertum: No: R-012/Pusk-CMP/VER/III/2017.
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენი საქმეზე - N 1/2490-18

ინტერნეტ რესურსი

1. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა 2013-2018 წლები, IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, https://idfi.ge/ge/domestic_violence_statistics_in_georgia
2. ოჯახში ძალადობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, http://phf.org.ge/ka/recommendations/ojaxshi-dzaladoba-/
3. ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო, http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/faq